

შადრევნებიდან აეროპორტებამდე

გაზეთი “ალია” – 2-6 სექტემბერი, № 86, 2010

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, როგორც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, საქართველოს უახლოვდება ტურისტების 10-მილიონიანი არმია, ანუ სამჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს მოსახლეობაა და საერთოდ, ამისხენით, რა ხდება ჩვენს „ვერკონომიკაში“?

– საქართველოში ტურიზმის განვითარება შეიძლება, რასაც ლაპარაკობენ, საღ აზრს არ არის მოკლებული, რადგან ბევრ ქვეყანაში ტურიზმი შეიძლება გახდეს მთავარი შემოსავლების წყარო, მაგრამ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული წარმოდგენები არსებობს. ჩვენ ფაქტობრივად ვართ ოკუპირებული სახელმწიფო, ტერიტორიის 20 პროცენტი გვაქვს დაკარგული. ასეთ ქვეყნებში ტურიზმის განვითარება ძალიან ძნელია. შეიძლება ვინმემ იგივე კვიპროსის მაგალითი მოიტანოს, რომლის ჩრდილოეთი ნაწილიც თურქების მიერაა ოკუპირებული, მაგრამ იქ ტურიზმი განვითარდა. რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელია, ოღონდ საომარ რიტორიკას უნდა დავანებოთ თავი. მაშინ, როცა კრემლს ელემენტარული კონტაქტიც კი არ უნდა სააკაშვილთან და არის ძალიან აგრესიული, ხოლო ჩვენი ხელისუფლება ყოველდღე ამტკიცებს, რუსეთთან მხოლოდ ბრძოლაა წაგებული, ომი გრძელდებაო, ასეთ პირობებში ტურიზმის განვითარებაზე ლაპარაკი მართლა გაზვიადებულია. კიდევ ერთი, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისათვის, ძალიან დიდი პერსპექტივები გვაქვს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში. სამწუხაროდ, დღეს არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ ქვეყანაში შეიქმნას ე.წ. “ახალი ეკონომიკა”, რომელიც იქნება დაფუძნებული ინოვაციებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს ის სამეცნიერო პოტენციალი, რაც უკეთეს შემთხვევაში, ქვეყნის გარეთ გამოიყენება.

– აეროპორტების გახსნა ყველა რაიონში, შემოყვანა ძალიან იაფი ავიაკომპანიის... რა არის ეს, ვინმეს ინტერესები თუ ცხოვრების გაიაფების მცდელობა?

– ყველა რეგიონში აეროპორტის გახსნა უაზრობას ემსგავსება. აეროპორტის გახსნას მაშინ აქვს გამართლება, როცა იქ მგზავრთა რაოდენობა და ტვირთბრუნვა შესაბამის დონეზეა. საქართველო ტერიტორიით ისედაც მცირე ქვეყანაა, უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილიდან უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე 6 საათში შეიძლება ავტომობილით ჩასვლა. ამიტომ ყველგან აეროპორტების გახსნა არაგამართლებულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

– რა გამოდის, შადრევნიდან აეროპორტებამდე?

– (ივინის) ფაქტობრივად ასეა... რა თქმა უნდა, აეროპორტი შადრევანს ჯობია, ამ მხრივ პროგრესი გვაქვს. საერთოდ, პოსტკომუნისტური საქართველოს ყველაზე დიდი ნაკლი არის არაპროფესიონალიზმი, ან უკეთეს შემთხვევაში პროფესიონალიზმის დაბალი დონე, ამას არ ვამბობ მარტო დღევანდელ მთავრობაზე. მაგალითად, პროფესიონალიზმით გურგენიძის მთავრობა დღევანდელს ნამდვილად არ სჯობდა, მე შემიძლია გავიხსენო აგრეთვე შევარდნაძის პერიოდის მთავრობებიც. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ქვეყნის მართვის მთავარი ინსტრუმენტი გახდა პიარი და როცა პიარია მთავარი, მაშინ არავითარ პროფესიონალიზმზე ლაპარაკი არ იქნება. ახლა ამიხსენით, როგორ უნდა აღვიქვათ საუბარი იმაზე, რომ თურმე საქართველოში დაიწყო ბაყაყების ექსპორტი. კი, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც საკითხები, სადაც სერიოზულობა გვმართებს და მინისტრმა არ უნდა ილაპარაკოს ისეთ რაღაცაზე, რაც უბრალოდ ღიმილს იწვევს? ან კიდევ ავიღოთ სამეგრელოში ნიანგების ფერმის გაკეთება და ამით ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს კიდევ და კიდევ მივყავართ არაპროფესიონალიზმამდე. მაგალითად, დღეს ძალიან დაინტერესებულია არაბული სამყარო და ირანი ქართული ცხვარით, რაც სულაც არ არის ცუდი, ძალიან კარგი, თუკი ჩვენ გაგვიჩნდება საექსპორტო პროდუქცია, მაგრამ აქ ძალიან გონივრული პოლიტიკის გატარება გვმართებს: ცხვარი იმდენი არ უნდა გავიდეს ქვეყნიდან, რომ მერე მისი აღწარმოება შეუძლებელი იყოს და შეგვიმცირდეს. მეცხოველეობაში ყოველთვის მარტივია მიდგომა, უნდა გაიყიდოს მხოლოდ ნამატის ნაწილი. მოდით, სიმართლე ვთქვათ, ჩვენი ცხვარი რომ არაბებსა და ირანელებს არ აღმოეჩინათ, ჩვენ თვითონ რას ვფიქრობდით ამ საკითხზე? ახლა კიდევ ვიღაცა უნდა ჩამოვიდეს, რომ ქართული ფუტკარი ხელახლა აღმოაჩინოს, რომელიც ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიოში? ფიქრობს ამაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო? თუნდაც გავიხსენოთ აბრეშუმის ჭია, ჩვენი აბრეშუმი... ეს ხომ უკვე მკვდარი დარგია? ამ მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული უპირატესობა

ხარისხში, მაგრამ ვიყენებთ კი ამას? მაინც და მაინც უცხოელი უნდა ჩამოვიდეს და თქვას: დედა, რა კარგი ყოფილა თქვენი ცხავრი, თაფლი, ან აბრეშუმით? და ყველაზე დიდი კურიოზი, კარგად იცით, რაც ხდება დღეს პურის ფასებთან დაკავშირებით. მე მესმის პრეზიდენტის რეაქცია, მთავრობის რეაქცია, მათ უნდათ, რომ მოძებნონ ხორბლის ახალი ბაზრები... კი, მაგრამ სად იყვნენ აქამდე, არ იციან, რომ ჩვენ თვითონ ვერ ვაწარმოებთ საკმარის ხორბალს? რუსეთში ხანძარი გაჩნდა, ყოველდღე ჩვენი ტელევიზიები გადმოსცემდნენ, ზოგი ამას აკეთებდა სიხარულით, ზოგი ნიშნისმოგებით, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ხომ უნდა მიხვდეთ, ამ ხანძარს რა მოჰყვება? შეიძლება ჩვენ ხორბალს არც ვყიდულობდეთ რუსეთიდან, მაგრამ როცა ამხელა ქვეყანა ეთიშება მსოფლიო ბაზარს, მიწოდება კლებულობს და ჩვენ მაინც შეგეჰქმნა პრობლემები.

– უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ კანადიდან შემოვიდა დატვირთული გემები და უახლოეს დღეებში ჩვენთან დაიწყება პურის გაიაფება. ისემც ამათ რა ვუთხარი, რომ დაძვირებული პური აღარ გააიაფონ, კანადიდან შემოტანა ხომ უფრო ძვირი ჯდება? რას იტყვით ვერა ქობალიაზე?

– მე ნამდვილად გამიხარდება, რომ მეტი ხორბალი შემოვიდეს საქართველოში, მაგრამ კანადიდან შემოტანა გაცილებით ძვირი ჯდება. რაც შეეხება ვერა ქობალიას და მის ეკონომიკას, მე მგონი, მთელმა საქართველომ გაიგო, რომ ამ ქალბატონს უმაღლესი განათლებაც არა აქვს. საერთოდ, ბოლო დროს გაჩნდა ასეთი მახინჯი ტენდენცია... ქობალიას ეს არ ეხება, რადგან ბიზნესმენად ნამდვილად არ მიმაჩნია, როდესაც მოიყვანეს იგივე გურგენიძე და სხვები, როდესაც დაიწყეს ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ბიზნესმენების მიწვევა მთავრობაში, როდესაც ნოღაიდელი იბახის, მე ძალიან კარგი მენეჯერი ვიყავი, მენეჯერის ადგილი მთავრობაში არ არის, მენეჯერის ადგილი არის ბიზნესში, მთავრობაში უნდა იმუშაოს სახელმწიფო მოხელემ. ბიზნესის წარმომადგენლის ხედვა განსხვავებულია, ის ქვეყანას უყურებს როგორც ბიზნესერტულს, რომელმაც უნდა მოიტანოს მოგება. სახელმწიფო მოხელისთვის მთავარი მოგება კი არა, ხალხის კეთილდღეობაა. არსებობს ერთი მცირე ზომის წიგნი, რომელიც დაწერა ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამერიკელმა პოლ კრუგმანმა, იქ არის ძალიან კარგად აღწერილი, რით განსხვავდება ფირმა სახელმწიფოსგან და რატომ არ შეიძლება, სახელმწიფო იმართებოდეს ისე, როგორც იმართება ფირმა. ჩვენ ხშირად გვესმის, როგორ მიჰყავთ მთავრობაში წარმატებული ბიზნესმენები, ერთი ასეთი პყავდა შევარდნაძესაც, მაგრამ როგორი წარმატებულიც არმოჩნდა, ვნახეთ. მე

ნამდვილად ვერ ჩავთვლი, რომ გურგენიძე არ იყო წარმატებული „საქართველოს ბანკში“, მან მართლაც იცის ბიზნესის ეს სფერო, მაგრამ აბსოლუტურად წარუმატებელი იყო, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ახლა იძახიან, ვერა ქობალია პურს აცხობდაო, დღეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ბატონო გელა, ვის მოიყვან და დასვამ ეკონომიკის სამინისტროში... უბრალოდ, წესიერ და მცოდნე კაცს ჯერ არ შესთავაზებენ და რომც შესთავაზონ, ის კაცი თვითონ არ დათანხმდება. ეკონომიკის სამინისტროს დღეს არანაირი ფუნქცია არ გააჩნია. ერთ საინტერესო რაღაცას გეტყვით, ამზაფხულს ძალიან დიდი სჯაბაასი იყო ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, რომლის პროექტიც მთავრობამ შეიტანა პარლამენტში. იცით, ყველაზე დიდი კურიოზი აქ რა არის? საგადასახადო კოდექსის პროექტი ეკონომიკის სამინისტროსთან საერთოდ არ შეთანხმებულა, მოამზადა ფინანსთა სამინისტრომ და ეგრევე გადააგზავნა პრემიერ-მინისტროს.

– ბატონო ლადო, მთავრობაში მიღის რაღაც ცვლილებები, აგერ, ჯანდაცვის მინისტრი გადაიყვანეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად.

– მე არ ვიცი, წამოგცდათ თუ შეგნებულად თქვით, ყოველ შემთხვევაში, კარგად გამოგვივით, სანდრო კვიციანი მართლაც გადაიყვანეს, რექტორი უნდა აირჩიონ, მისი გადაყვანა არ ხდება.

– ამას წინათ ქალბატონი გუგული მაღრაძე მიმტკიცებდა, რომელიც თბილისშია, რექტორის არჩევნები ნოემბერშია დანიშნული და ავირჩევთ.

– მე ვერ წარმომიდგენია, კაცმა ჩაიბარო ისეთი დარგი, რომლისაც არაფერი გესმის? თავის დროზე ისტორიკოსმა კვიციანელმა უარი არ თქვა ჯანდაცვის მინისტრობაზე, დღეს კი ირკვევა, რომ თურმე რექტორობაც შეძლება! ეს არის კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ერთი საათი ლექციაც კი არ წაუკითხავს აუდიტორიაში და ერთი სამეცნიერო სტატიაც კი არ დაუწერია, მისი ბიოგრაფიიდან ასე ჩანს. ანუ მისი ცოდნა უნივერსიტეტის შესახებ შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტური წლებით, ეს განა საკმარისია? ჩემთვის გასაკვირი იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ქცევა, ორიოდ კვირის წინ პროფესორი სურგულაძე აირჩიეს ზარზეიმით, დედა, რა მცოდნე და რა კარგი ადამიანიაო. ნეტა რა დააშავა იმ კაცმა ამ ორ კვირაში, რა ვერ გააკეთა ამ გაგანია ზაფხულში, როცა არდადეგებია? რას ვერ მოაბა თავი ნეტა? თუ ასეთი თავმოუბმელი იყო, რატომ აირჩიეს? უნივერსიტეტი კასტრირებული ორგანიზაციაა, მას არანაირი აკადემიური საბჭო არა ჰყავს. ეს ყველაფერი არახალია, ბატონო გელა, ეს ჩვენ გავლილი გვაქვს კომუნისტების დროს,

როდესაც ხელმძღვანელი მუშაკები ინიშნებოდნენ პარტიული ნიშნით, მაგრამ დიდ ანგარიშს უწევდნენ მაინც იმას, რომ რაღაც ცენზი უნდა ყოფილიყო. ამის მერე გამოდის ერთი ძალიან ცნობილი მათემატიკოსი, გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, მისი განცხადება იყო მლიქვნელობის ზეიმი, ეს ჩემთვის გაუგებარია, ეტყობა, რაღაცას ელის სათავესოდ. შე კაი ადამიანო, თუ სინდისი გაქვს ცოტაოდენი, უბრალოდ გაჩუმდი მაინც. სხვათა შორის, აკადემიური საბჭოს ყველა წევრმა ბატონ კვიციანივთა ერთხმად დაუჭირა მხარი და არც ერთ მათგანს ეტყობა სინდისი არ აწუხებს... ორი კვირის წინ კი პიონერული მზადყოფნით სურგულაძე გაარეკტორეს! როდესაც ივანე ჯავახიშვილზე დოკუმენტურ ფილმს ვუყურებთ, ხომ ვხედავთ, როგორ ლანძღავდნენ ამ ადამიანს, როგორ ავიწროებდნენ, ხოლო მის მტრებს როგორ ემლიქვნებოდნენ და აღშფოთებულები ვრჩებით, მთავრდება ფილმი და მერე იგივეს ვაკეთებთ... ახლა რაც შეეხება ქალბატონ გუგულის, მე მას პირადად პატივს ვცემ, მაგრამ აბსოლუტურად გაოგნებული დავრჩი, როდესაც მან ხოტბა შეასხა გია ხუბუას. საინტერესოა, ვის აქებდა, კაცს, რომელმაც უნივერსიტეტის დიდი საბჭო მთელი ღამით გამოკეტა აუდიტორიაში? იმ გია ხუბუას აქებდა, რომელმაც პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში? უბრალოდ, ეს ამორალურია! გია ხუბუამ შექმნა ნეპოტიზმის ქსელი უნივერსიტეტში, კუთხურობის, ნათესაობისა და კლანურობის ნიშნით ინიშნებოდნენ ადამიანები თანამდებობებზე. დღეს ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, უნივერსიტეტის ნგრევა დაიწყო ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, რომელსაც ახლა რატომღაც ალამაზებენ. მე სწორედ ლორთქიფანიძის დროს მომიწია განცხადების დაწერა და კათედრის გამგის თანამდებობიდან წასვლა პროტესტის ნიშნად. ეს ქალბატონი დღის განმავლობაში სამ-ოთხ ურთიერთგამომრიცხავ დირექტივას უშვებდა.

– დოქტორებმა და პროფესორებმა ვერ გაამართლეს, იქნებ ახლა მენეჯერმა უშველოს საქმეს?

– უნივერსიტეტში მენეჯერს რა უნდა, ეს რა, ბიზნესერთეულია?

– საერთოდ ამბობს ეს სააკაშვილი, რომ არ მჭირდება ამდენი იურისტი, ეკონომისტი და პროფესორი.

– ბატონმა სააკაშვილმა რაც ბრძანა, საქართველოში მახინჯი სტრუქტურები შეიქმნაო, ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები, სწორია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, მთელი ეს სისტემა ვინ მოშალა და ვინ მოანგრია? ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება შეუძლებელია, თუ იქ არ

მიდის აქტიური კვლევები, ვინ მოშალა ეს ყველაფერი? ჩვენ გვაქვს ძალიან რთული სიტუაცია, პირველ რიგში უნდა კეთდებოდეს ასეთი რაღაცა, თუკი ქვეყანას ჰყავს ეკონომიკის სამინისტრო, ის უნდა ადგენდეს, რამდენი სპეციალისტი სჭირდება საქართველოს სამომავლოდ ეკონომიკაში, სამთო საქმეში, მეტალურგიაში, მედიცინაში, განათლებაში და ასე შემდეგ. ეს უნდა კეთდებოდეს ეკონომიკური პროგნოზიდან გამომდინარე, ანუ რომელი დარგი როგორ ვითარდება. შემდეგ მონაცემები უნდა წავიდეს განათლების სამინისტროში, რომელიც იტყვის, რას დააფინანსებს კონკრეტულად სახელმწიფო, დანარჩენზე კი უნდა თქვას, ამას ჩვენ არ ვაფინანსებთო.

– კი, აგერ დაჯდა ვერონიკა ქობალია, იანგარიშა და დაადგინა, რომ თურმე ქვეყანას ამ ეტაპზე ყველაზე მეტად სჭირდება კულინარები. სააკაშვილი ამბობს, ქობალიას კულინარობა სისხლში აქვსო, როგორც ჩანს, ამ გოგოს სისხლიც კი გამოიკვლია.

– მე პროფესიული სწავლების ქსელის ადღენას მივესალმები, ეს შევარდნაძის პერიოდში მოიშალა, როცა არ იყო სახსრები, ვიღაცა უნდა პურს აცხობდეს, ვიღაცა კულინარობდეს და ასე შემდეგ, ჩვენ ყველა პროფესია გვჭირდება, მაგრამ მარტო ბაზარზე მინდობა დაუშვებელია. მაგალითად, დღეს მოდაშია ეკონომისტობა, ყველას ჰგონია, ეკონომისტი თუ გახდა, მერე კარგ სამსახურს იშოვის. ვერ იშოვით, ძვირფასო მეგობრებო, ეკონომიკის სამინისტროში ეკონომისტები თითქმის არ მუშაობენ, მთავრობამ ამაზე უარი თქვა. აღარ ვიძახი იმას, რომ ამათ ადგილობრივი არჩევნები მოიგეს და ამის მერე დაერივნენ ყველას! მანამდე ეშინოდათ. ანუ რა გამოდის? თუკი ქვეყანაში არეულობაა, დაძაბულობაა, საპროტესტო აქციებია, უფრო მშვიდად უნდა ვიყოთ, ვიდრე როცა არაფერი ხდება. როგორც კი დაწყნარდება ხოლმე სიტუაცია, უნდა გვეშინოდეს, რომ სახლებიდან არ გამოგვყარონ. შეიძლება, რომ რიგით ადამიანებს გვერჩინოს, რომ სახელმწიფოში რაც შეიძლება ცუდი მდგომარეობა იყოს, რათა უფრო დაცულებათ ვიგრძნოთ თავი? შეიძლება, არეულობა გიხაროდეს კაცს? ამას წინათ რამაზ საყვარელიძემ თქვა კარგად: დღეს ისეთი განცდაა, თითქოს ოპოზიცია დენიდან არის გამორთულიო. აბსოლუტურად ვეთანხმები. ახლა ოპოზიციას თავისთავად არაფერი არ შეუძლია, თუ ხალხი თვითონ არ მოეგება გონს...

გელაშადრევნიდან აეროპორტებამდე

ზედელაშვილი